№ 126 19 ივნისი, სამშაბათი 1866—1879 ივნისი, სამშაბათი № 126

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. მადინოვის სახლში, № 33.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. ჩვეულებრივის ციცერო თი — 5 კაპ., პეტიტი — 4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**კაირი** (ეგვიპტე), 14 ივნისს. ეგვიპტის ქედივმა მიიღო დღეს ხონთქრის ბრძანება, რომ ტახტიდამ გადადგეს. ქედივი მზათ არის ხონთქრის ბრძანება აასრულოს.

**კაირი**, 14 ივნისს. დღეს საღამოს 101 ზარბაზნის სროლით გამოცხადდა ეგვიპტის ქედივად დაინიშნვა თევფიკ-ფაშის; ძველი ქედივი იზმაილ-ფაშა სტამბოლში მიდის.

**რომი**, 14 ივნისს. იტალიის კოროლმა და კოროლევამ ინახულეს დღეს ბოლგარიის მთავარი; ხვალ ამას სადილს უმართავენ კვირინალის სასახლეში.

**პეტერბურღის ბირჟა**, 18 ივნისს

(ხალხთა შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 95—25 |
| მეორე — — — — | 95—50 |
| მესამესი — — — | 95—50 |
| მეოთხესი — — — | 95— „ |
| აღმოსავლეთის პირ. — | 92—50 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 92—37 |
| აღმოსავლეთის, მესამე — | „ — „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 8—40 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — | 94—93 |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 241—50 |
| მეორე სესხის — — | 236—50 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 23—56 | პენსი |
| ამსტერდამი — | 119—25 | ცენტი |
| ბერლინი — — | 201—75 | პფენიგი |
| პარიჟი — — — | 248—75 | სანტიმი |
| კავკასის კერასინი | „ — | „ — |

## საქართველო

### ერთი ახალი კანონი

ამ დღეებში გამოვიდა ახალი კანონი „გლასსნი კასსების" შესახებ, რომლის მსგავსი გამართულია ჩვენში უფ. ზარუჩოვისაგან, აქიმოვის და სხვებისაგან, და რომელთ დანიშნულება, როგორც ყველა გაჭირვებულს და ხან შეძლებულსაც მოეხსენება, მდგომარეობს იმაში, რომ ვისაც ფული ეჭირება, გირაოს წარადგენს ამ კასსებში და ხელს მოუმართვენ.

ხელს მოუმართვენ; მაგრამ ვაი ამისთანა ხელის მომართვას! ერთი თუმანი რომ გიჭირდეს, ვსთქვათ, ხელად, უკანასკნელი ორი-სამი თუმანის საღირალი გირაო უნდა წარუდგინო, დიდის მუნათით მიიღებ როგორც იქნება თუმნს, სარგებელს თვეში ორ შაურს გამოგართმევენ და თუ ერთი დღე გარდააცილე, თუ იმ დღესვე არ მიუტანე ფული თავის სარგებლით, რა დღესაც ვადა გაგითავდა, შენს ნივთს სამუდამოთ უნდა გამოეთხოვო! გავყიდეთო, გეტყვიან.

კანონი ამათთვის არ იყო. „ნება-ყოფლობის საქმე არისო"—გეუბნებოდნენ. სინიდისზე ამისთანა ხალხს ხელი აღებული ჰქონდათ და სადაც გაჭირვებულს ვისმე დაინახავდნენ, რაღა თქმა უნდა, რომ რამდონათაც შეიძლებოდა სარგებლობდნენ. რა სინიდისი მოეთხოვება იმისთანა კაცს, რომელიც გაჭირვებულ, ვინ იცის ულუკმა-პურო კაცს მანეთს აძლევს და წელიწადში ამ მანეთზე მანეთს და მეტს სარგებელს ახდევინებს!

ახალი კანონის განზრახვა არის, რომ ამგვარ მდგომარეობას ბოლო მოუღოს! ამისთვის ამ ახალ კანონში მოხსენებულია—თუ როგორ კაცებს მიეცემა უფლება ამ „გამსესხებელი კასსების" გამართვისა, რა პირობანი უნდა შეასრულონ ამათ, რამდენი სარგებელი უნდა გადაახდევინონ, როგორ უნდა გაიყიდოს ვადაზე გამოუსყიდველი დაგირავებული საქონელი და სხვა.

კანონი თხოულობს, რომ ვისაც გამსესხებელი კასსის გამართვა სურს, ადგილობრივი ღუბერნატორისაგან უნდა აიღოს ნებართვა, რომელსაც უფლება აქვს არ მისცეს ამ კასსის გახსნის უფლება, თუ კეთილ-სინიდისიან კაცად არ იცნობს. ამასთანავე კასსის გამართველმა უნდა წარადგინოს ხაზინაში ხუთასი თუმანი გირაოდ, რომ თუ ის პატიოსნად წაიყვანს საქმეს; ყველა ანგარიში კასსის შემოსავალ-გასავლისა მთავრობისაგან დამტკიცებულ წიგნებში უნდა იყვეს ჩაწერილი; ამ წიგნებში უნდა იყოს ნაჩვენები—თუ რა დროს ვის რამდენი მიეცა სესხად, რამდენი სარგებელი უნდა გამოერთვას, როდის უნდა გადაიხადოს სესხი, რა შემოიტანა გირაოდ და სხვა. კანონით განსაზღვრულია—თუ როგორ უნდა გაისყიდოს ვადას გადაცილებული გირაოები (ორი თვის შემდეგ), ვინ უნდა დაესწროს ამ აუქციონით გასყიდვის დროს და სხ.

ყველა ეს წიგნები, ახალის კანონის ძალით, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გასინჯონ ოთხმა კაცმა, რომელთაგან სამი ქალაქის გამგეობისაგან უნდა იქმნეს დანიშნული და ერთიც პოლიციიდამ.

აი ეს არის უმთავრესი მუხლები ახალის კანონისა. ამ კანონის შემწეობით, რასაკვირველია, გაჭირვებული ხალხი ცოტაც არის მაინც განთავისუფლდება „გამსესხებელ კასსების" მონებისგან, რადგან კანონი საზღვრავს იმათ თვითმნებელობასა და პასუხის-უგებლობას.

მაგრამ ეს ხალხი ისეთი ჯურის ხალხია, ისეთი დახელოვნებული თავის საქმეში, რომ ვინ იცის, იქნება შემდეგშიაც მონახონ ისეთი ხრიკები, რომადვილად მოახერხონ ამ კანონის თავიდამ აცილება და ძველებურად წაყვანა თავიანთ ხელობისა. ამ შემთხვევაში კანონის დამცველად და გაჭირვებული ხალხის მომხრეღ უნდა იქმნენ ის რევიზორები, რომელსაც, როგორც კანონი მოითხოვს, ქალაქი და პოლიცია ნიშნავს.

ყოველს შემთხვევაში ამ კანონს კარგი განზრახვა აქვს და ჩვენ მხოლოდ იმის ნატვრა გვრჩება, რომ იმის აღმასრულებლად ხეირიანი და პატიოსანი კაცები ყოფილიყვნენ დანიშნულნი..

ს. მ.

### დღიური

*** ყველა მხრიდამ საჩივარი და შევიწროება გვესმის უფ. პოლიციმეისტერის შევიწროებაზედ, რომ მოსამსახურეებს და საზოგადოთ ყველა უბილეთოებს ბილეთები უნდა ჰქონდესთო, თორემ ჟანდარმებით გაიგზავნებიან ქა-

ლაქიდამო და ჯარიმაც გადახთებათო.

ამ უეცარის განკარგულების გამო ერთის მხრით ქალაქის მცხოვრებნი შევიწროვდნენ, რადგან უმოსამსახუროთ დარჩნენ მოულოდნელათა და მეორეს მხრით, რასაკვირველია, თვითონ უბილეთო ხალხი, რომელიც მირბის ქალაქიდამ და იერიშით ადგება უეზდის უპრავლენიებს—ბილეთები მოგვეცითო.

დღევანდელ გორის კორრესპოდენციაში ნახავთ—თუ რა მდგომარეობაში ჩავარდნილა იქ ამ ბილეთების ასაღებად წასული ხალხი. ხაზინაში ბილეთის ქაღალდი (ბლანკები) აღარ არისო, რამდენიმე დღე უცდის ხალხი, იხარჯებიან. რაც რამ გააჩნიათ აგირავებენ და ძლივს საჭმელ პურს შოულობენო. ამგვარსავე ამბავს იწერებიან სიღნაღიდამ და ქუთაისის ზოგიერთ უეზდებიდამაც.

*** თფილისის კლასსიკური გიმნაზიის მთავრობა აცხადებს, რომ წელს ამ გიმნაზიაში 21 ყმაწვილს დაუჭერია ეგზამენი და ამათში ცხრამეტს მიუღია ჯეროვანი ატტესტატი და შეუსრულებიათ კურსი, ეს ყმაწვილები არიან: კოსტ. ფოხტი, სტანისლავ კუნიცკი, ვილჰელმ შულცე, შახრიარ მელიქ-შარსადანოვი, ათანასე იგნატოვსკი, ზარმაირ ანდრიასოვი, ალექ. ბელსკი, ალექ. კულიჯანოვი, პავლე დარიანოვი, ქრისტეფორე ლისიცევი, ლეონ და იოსებ ნახაპეტოვები, დიმიტრი ნაუმენკო, პეტრე სამუილენკო, ვიქტორ სტებნიცკი, ივანე სტებნიცკი, ჭეგამ ტერ-პეტროსიანცი, მოსე ტროპ, პეტრე აპროკოვი-

როგორც ჰხედავთ, ამ ცხრამეტ კაცში არც ერთი ქართველი არ ურევია საქართველოს უპირველეს ქალაქში გიმნაზია არის და წელიწადებია ისეიდის, რომ ამ გიმნაზიაში არც ერთი მრთველი სწავლას არ ასრულებს! როგორ ჩასაფიქრებელი მოვლენა არ არის ეს მოვლენა?

ზემოხსენებულ 19 ყმაწვილ კაცშია ხუთი სახელმწიფო ხარჯით იგზავნება წელს, ერთი ისტორიკო-ფილოლოგიურს ინსტიტუტში და დანარჩენი ოთხი უნივერსიტეტის საექიმო ფოკულტეტში.

ამავე გიმნაზიის მთავრობა აცხადებს, რომ ვისაც კლასიკურს გიმნაზიაში შესვლა სურს არზის შემოტანა 1 ივლისიდამ 25 აგვისტომდინ შეუძლიან, ამ რიცხვს იქით კი არზა არ მიიღებაო. გამოსაცდელი ეგზამენები 23 აგვისტოდამ 28-დის იქნებაო.

*** რაჭის ხელის-მომწერლები უკმაყოფილებას აცხადებენ, რომ გაზეთის მომეტებული ნაწილი ნომრები თავის დროზე არ მოგვდის და ხშირად სულაც გვეკარგებაო. ისინი აცხადებენ სურვილს, რომ ფოხტის განყოფილება გაიხსნას იმათ უეზდის ქალაქს ონში, რადგან ახლა კორრესპონდენციის გაგზავნა და მიღება უეზდის უპრავლენიის იასაულის სურვილზედ არის დამოკიდებულიო; იასაულს კვირაში ერთხელ გზავნიან ა ქუდამ ქუთაისშიო, მაგრამ ჩვენთვის წიგნებსა და გაზეთებს არ მოიტანს, თუ ცალკე საჩუქარი არ მივეცითო და რედაქციის სახელობაზე გამოგზავნილ წიგნებს ხშირად საჩუქრითაც არ წაიღებს ქუთაისის ფოჩტაშიო.

ეს საჩივარი, რასაკვირველია, კანონიერი საჩივარია; რაჭველებს სრული უფლება აქვთ უკმაყოფილოდ იყვნენ ფოჩტის გამგეობაზე. მაგრამ ხომ ხედვენ, რომ გაზეთში ჩივილით არა გამოდის-რა; არა სჯობია, რომ პირ-და-პირ ჯეროვან მთავრობასთან შეიტანონ ეს საჩივარი და ითხოვონ? თუ მაშინაც არ დააკმაყოფილეს მათი მოთხოვნილება; ამ შემთხვევაში ერთი-ღა საშუალება დარჩებათ: რამდენიმე კაცმა დაიქირაონ თავისთვის გზირი და ის გზავნონ მუდამ კვირას ქუთაისში წიგნებისა და გაზეთების გასაგზავნი-მისაღებად. ეს ძვირად არ დაუჯდებათ და ამნაირად, სანამ დ. ონში ფოჩტის განყოფილება გაიხსნება, ამ საგრძნობელ შევიწროებას თავიდამ აიცილებენ.

*** რაჭიდამვე გვწერენ, რომ სოფ. ნაკიეთში ეს ოთხი-ხუთი წელიწადია მთავრობის განკარგულებით სასოფლო შკოლა არის გახსნილიო; მაგრამ ეს შკოლა ისე შორს არის მცხოვრებლებზე და მასწავლებელიც ისეთი უხეირო არისო, რომ დაარსებიდამვე იმაში ხუთზე მეტი შაგირდი არ ყოფილაო. მამასახლისი კი სოფლის საზოგადოებას მუდამ წელიწადს ოც თუმანს ახდევინებს მასწავლებლისთვისაო!

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

გორი, 13 ივნისს. წარსულ კვირას, 3-ს ამ თიბათვეს, გორის საზოგადო კრუჟოკში იყო აქტი „ამიერ კავკასიის საოსტატო სემინარიისა“. მიწვეულნი იყვნენ გორის საზოგადოება, მაღალი და მდაბალი, მდიდარი და ღარიბი, ქალი და კაცი. ზალა კრუჟოკისა სავსე იყო. ხალხი ელოდა უფ. მოდზალევსკის და დირექტორის უფ. სემიონოვის მოსვლას.

ამათ შემოსვლის უმალვე მგალობელთ გუნდმა იგალობა; შემდეგ მღვდელმა მამა ლ. ტურიევმა საღმრთო წერილის მასწავლებელმა გადიცვა შესამოსელი, ავიდა კათედრაზედ, მიმართა სიტყვით კურს-შესრულებულებს ახალგაზდებს.

ამის შემდეგ გადიხადეს სამადლობელი პარაკლისი და კურს შესრულებულებს დაურიგეს სახარებები.

ავიდა კათედრაზედ უფ. დირექტორი. ამან წაიკითხა ანგარიში სამი წლისა სემინარიის დაარსებიდგან, გადუშალა ნაკლულევანებანი და ღირსებანი ამ სემინარიისა, აჩვენა მიზეზი რისგან წარმოსდგებოდა უწესოება და მოუმზადებლობა შეგირდებისა. სხვათა შორის უთხრა საზოგადოებას, რომ ახლად — კურს შესრულებულნი ვერ არიან განვითარებულნი რუსულ ენაში და აგრეთვე ქართულშიო; მიზეზი პირველისა არისო მასწავლებლების უყოლობაო, მალიმალ გამოცვლა ამ ენის მასწავლებლისაო, საკითხავი წიგნების უქონლობაო და სხვა; და მეორისა ქართულის ენის სწავლებისა—მე ცდიდათ შევსწუხდით და გავკვირდით, როდესაც ამ კურს შესრულებულმა ყმაწვილებმა სრული უცოდინარობა დაამტკიცესო ქართული ენისაო; სუსტად იციან თარგმანი ქართულიდგან რუსულზედ და რუსულიდგან ქართულზედ. მომავალი წლიდგან ქართული ენის სწავლება დაიწყობა ისრე, როგორც სხვა საგნებისაო, მასწავლებლებს ჩაეთვლება სამსახური ისე, როგორც სახელმწიფო ენის სწავლებაო. ვეცთებითო, რომ მომავალი ლიდგან ყოველივე ნაკლულება სემინარიას მოუსპოთო.

მერე ილაპარაკა ქალების პროგიმნაზიაზე: ლამის გორის საზოგადოების თხოვნამ უქმად ჩაიაროსო; ამ შკოლის დაარსებას აბრკოლებს მატერიალური მხრით სიღარიბეო. მმართებლობას გადაუდვია 1000 მანეთი, გორის კრუჟოკის კასას 300 მანეთი და გორის ქალაქის საზოგადოებამ კი არ აღმოაჩინა არა რაიმე თანაგრძნობა ამ კეთილი საქმისადმი. ის 300 მანეთი, რომელსაც აძლევდა ქალაქი ქალების აწ დამწვარ შკოლას და ის 500 მანეთი, რომელსაც დაჰპირდა საოსტატო სემინარიასაო, აღარ მისცაო. დაიჯერო მშობლებს არა სურთო თავიანთი ქალების განათლებაო?

თუ სადმე გრძნობა და სინიდისია, უფ. სიმონოვის სიტყვები ძალიან მაგარი კავკაური ფოჩიანი მათრახები იყო გორის საზოგადოებისათვის.

შემდეგ უფ. სიმონოვმა უთხრა წყნარის, მაგრამ გრძნობიანის ხმით თავის ნაშაგირდლებს: უკანასკნელი სიტყვა თქვენ გეკუთვნით, ჩემო მეგობარნო და ამხანაგნო. თქვენ გაწვედით თქვენს ხალხშიო, სასარგებლოდ იმ უნცროსთა მოძმეთათვის, რომლის კეთილ-დღეობისათვის უნდა ილვაწიდეთო, რომლის კეთილ-დღეობაზე დამოკიდებულია ჩვენი ყველას კეთილ-დღეობაო. შეეწიეთ საწყალს ხალხს სწავლით და განათლებით, ნუ შეეხებით მხოლოდ ხალხის სარწმუნოებას, მოხუცებულთ რწმუნებებს, რომ ნდობა არ დაჰკარგოთო; მოერიდენით ცრუ აზრებს, რომელნიც ჰქადაგებენ აწმყო სახელმწიფოის წყობილების დამხობასაო და სხვ. მოკლეთ, მაგრამ გარკვევით აუხსნა ამათ თავიანთი ვალდებულება.

საქადაგებელ კათედრაზედ ავიდა მამა ტერ-სტეფან ტერ-სტეფანოვი, რომელმაც გრძნობით წარმოსთქვა სიტყვა და აუხსნა ყმაწვილებს იმათი დიდი ვალდებულების შესრულება.

ამის შემდეგ მოკლე სიტყვა სთქვა უფ. მოდზალევსკიმ; მიულოცა კურსის შესრულება ყმაწვილებს და უთხრა, რომ

დიდი შრომა და ხასიათების გამოჩენა გმართებთო, ვინძლო დაუფასოთ მართებლობას თქვენზედ ღვაწლი და ხარჯიო; იმას 60 ათასი მანეთი ხარჯი აქვსო, თვითეულს თქვენგანზე ხაზინას 12 ათასი მანეთი დაეხარჯაო; იყავით ერთგულნი შვილნი თქვენი დიდის სამშობლოისაო და სხვ...

ბორი და ბორის უეზდი Თფილისიდამ გამორეკილი უბაშფორთო ხალხით აივსო. რა საცოდაობაა! რა ცოდვის ლუული ტრიალებს, ღმერთო! Დიდი, პატარა, ქალი, კაცი და ბავშვებიც ილაჯს სწყვეტენ თავიანთის ჩივილით, დავილუპენით ამდენი ხარჯითაო! ბორის ხაზინაში ბაშფორთის ბლანკები აღარ არის და ზოგი ათი სრული დღე არის იცდის ბორში. ზოგმა ჩექმები და ქამარი დააგირავა და ისე ირჩინა თავი.

Წუხელის დეპეშა მოვიდა Დილიჟნიდამ ბორიდგან გაგზავნილის ვართაპეტისგან, წმ. Იაკობის წყალი მოგვაქვსო. ხვალ რომ 14 თვისა, მთელი ბორის ქალი და კაცი და სამღვდელონი ემზადებიან მისაგებებლად Ერთის მხრით ხომ ყველას გასახარელია, თუ ტარბი მოჰყვა; მაგრამ მეორე მხრით ზოგი ქალები სწუხან, ტარბი ალუბალს სულ შესჭამს, მურაბებს ველარ გავაკეთებთო! Დღეს აჩქარებით აკრეფინებენ ალუბალსა. ხუმრობა ხომ არ არის, უმურაბოდ რომ დარჩნენ...

Ალ. Თუთაევი.

---

# ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ

## ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ნაპოლეონის შვილის მოკვლის გარემოებაზედ შემდეგი ცნობებია დაბეჭდილი Ლონდონისა და პარიჟის გაზეთებში:

პრინცი ნაპოლეონი და Ინგლისის აფიცრები რამდენიმე სალდათით წასულიყვნენ თურმე მტრის (ზულუს) გამაგრებული ადგილებისა და ბანაკების დასაზვერავად. Ერთ ადგილას ესენი ჩამოხტნენ ცხენიდამ და მოსასვენებლად მოემზადნენ. Ამ დროს მაღალ ბალახში ფორხვით მოეპარნენ ზულუსები. Აფიცრებმა და სალდათებმა მოასწრეს საჩქაროთ ცხენებზე შეჯდომა და გამოქცევა. პრინციც შემხტარიყო ცხენზე, მაგრამ, რადგან სიმარჯვე აკლდა და სხვებსავით გავარჯიშებული არ იყო ცხენოსნობაში, გადმოვარდაო და პირ-ქვე დაეცაო. Ამ დროს მოასწრეს იმას ზულუსებმა და ხიშტით დახვრიტეს. მნახველები ამბობენ, რომ შვიდმეტ ალაგას იყო დაჭრილი, როდესაც მეორე დღეს მკვდარი ნახესო. სხვათა შორის თვალში ჰქონდა ჩაკრული ხიშტიო. Იმასთან ერთად ორი სალდათიც მოუკლავსთ ინგლისელი.

— Ძველა ფრანცუზული და ინგლისური გაზეთები თითქმის ერთ-ხმად ამბობენ, რომ ნაპოლეონის სიკვდილის შემდეგ საფრანგეთის რესპუბლიკა კიდევ უფრო მკვიდრ საფუძველზე დამყარდებაო და საზოგადოთ ეს ბედნიერება არის საფრანგეთისთვისაო.

მაგრამ ბონაპარტისტები მაინც კიდევ არ ჰკარგავენ იმედს: მოსულა თუ არა ნაპოლეონის მოკვლის ამბავი პარიჟში, იმათში შექნილა ერთი ფაცა-ფუცი, კრება და მოლაპარაკება იმაზედ—თუ როგორ უნდა მოიქცეს ახლა იმათი პარტია; იმწამსვე დაუბარებიათ ნაპოლეონის ნამინისტრალი რუე, თვითონ Ძერომ ნაპოლეონი და სხვები და გარდაუწყვეტიათ, რომ პრინც ნაპოლეონის სიკვდილით ბონაპარტისტების პარტია არაფერს არ ჰკარგავსო, იმათი მიზანი ისევ რჩებაო, რადგან მიცვალებულმა თავის მემკვიდრეობა Ძერომის შვილს ვიქტორ ნაპოლეონს გარდასცაო.

## ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ

გაზეთს „გოლოსში“ დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული ვრცელი ტელეგრამმა, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ ამ თვის 7-ს იქაურს პოლიციას დაუტუსაღებია რამდენიმე წევრი ერთის საიდუმლო საზოგადოებისა, რომელსაც შეთქმულობა მოუხდენია ხონთქრის მოკვლაზედ. Გამოძიებას აღმოუჩენია, რომ ამ შეთქმულების მოთავენი ყოფილან რუმელიიდამ მოსული ემიგრანტები, რომელთაც ამას წინათ უთხოვნიათ ხონთქრისთვის, რომ, რადგან მშივრები და შიშველნი არიან, მოწყალება მიეცესთ იმათ რამე; ხონთქარს ამაზე არავითარი პასუხი არ მიუცია იმათთვის და ამის გამო გამოჯავრებულებს თვითონ ხონთქრის მოკვლა განუზრახავთ.

---

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

## ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲯᲘᲮᲐᲘᲨᲘᲡ ᲒᲐᲛᲡᲔᲡᲮᲔᲑᲔᲚ-ᲨᲔᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡᲐ 1878 ᲬᲚᲘᲡᲐ

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველ იანვარს 1878 წ. წილის ფული იყო | 1982 | 78 |
| შესანახავათ შემოტანილი ფული იყო | 380 | „ |
| ნასესხი ამხანაგობისაგან წინა წლებშიდ | 1500 | „ |
| სათადარიგო თანხა | 19 | „ |
| წმინდა მოგება | 529 | 59 |
| სულ | 4,411 | 48 |
| გასესხებული ფული | 3435 | „ |
| ნაღდი ფული | 906 | 48 |
| ნივთი | 70 | „ |
| სულ | 4,411 | 48 |
| **1878 წელში შემოვიდა:** | | |
| წილის ფული | 1790 | „ |
| დაბრუნებული სესხი | 7885 | „ |
| შესანახავათ შემოტანილი | 2340 | „ |
| სარგებელი დაჭერილი სესხობის დროს | 1002 | 68 |
| ჯარიმა | 3 | 47 |
| სხვა-და-სხვა | 16 | 20 |
| სათადარიგო თანხა | 44 | 84 |
| სულ | 13,082 | 19 |
| **გასავალი 1878 წლისა:** | | |
| წილის ფული | „ | „ |
| მოგება წილზედ 1876 და 1877 წ. | 230 | 49 |
| გასესხებულა | 11,637 | „ |
| სარგებელი მიცემული ვადამდის დაბრუნებული ფული | 76 | 94 |
| დაბრუნებიათ შესანახავათ შემოტანილი ფული | 1280 | „ |
| სარგებელი შესანახავათ შემოტანილ ფულს | 10 | 72 |
| სარგებელი ნასესხი ფულებისა | 144 | „ |
| გამგეობის ხარჯი | 76 | 50 |
| სხვა-და-სხვა ხარჯი | 17 | 92 |
| სათადარიგო თანხა | 44 | 84 |
| სულ | 13,518 | 41 |
| **პირველ იანვარს 1879 წ. იყო:** | | |
| წილის ფული | 3772 | 78 |

| | | |
|---|---|---|
| შესანახავათ შემოტანილი ფული — — — — — | 1440 | „ |
| ნასესხი ამხანაგობისა — — — — — — | 1500 | „ |
| სათადარიგო თანხა — — — — — — | 63 | 95 |
| წმინდა მოგება — — — — — — — | 950 | 53 |
| სულ | 7727 | 26 |
| გასესხებული ფული — — — — — — | 7,187 | „ |
| ნაღდი ფული — — — — — — — | 470 | 26 |
| ნივთი — — — — — — — — | 70 | „ |
| სულ | 7,727 | 26 |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

ნასესხ ფულში აძლევდა ამხანაგობა 1878 წ. — — 8%

შესანახავათ შემოტანილ ფულში — — — 7%, 8% და 9%

თვითონ ამხანაგობა ღებულებდა — — — —12%

) მღვდელი ლუკა ჩომახიძე
წევრნი გამგეობისა( მღვდელი იოსებ წერეთელი
) დიაკონი პეტრე ცაგერეისშვილი

---

პატივი გვაქვს გამოუცხადოთ ფოთის ხონისა და აგრეთვე ოზურგეთის მოვაჭრეებს: ივნისიდან თფილისში ჩაბარებული ქარვასლებიდან ყოველივე ხორაგი საქონელი გაიგზავნება თავიანთ ბინაზედ, ჩვენის ხარჯით, რომელსაც ვამწესებთ ხონამდინ ფუთზედ—50 კაპეიკი და ოზურგეთში ფუთზედ—75 კაპეიკი. ჩვენზედ ჩაბარებული საქონლისა ნაკლულება ან დაკარგვის ვალდებული ვხდებით, პირობისამებრ, მოვძლოთ თანახმად მოვაჭრეებისა.

ფანტორა იმყოფება: პირველი—თფილისში (ურუმაზის ქარვასლა № 1) და მეორე—სამტრედიის სტანციაზედ. 2-რე გილდი.

ვარსევან ივ. რატიანი.

(4—2)

ქუთაისში

# ქ. მესხის წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

1) სიტყვანი და მოძღვრებანი—თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელი მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.

2) იგივე, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) რუსული დასაწყისი ენის კურსი ქართველთათვის (Практическій начальный курсъ рус. языка для друзинъ) —შედგენილი გ. ქ—შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობა 50 კაპეიკად.

4) დედა ენა—ი გოგებაშვილისაგან, 50 კ.

5) სიბრძნე სიცრუის წიგნი ფასი — — — — —50 კაპ.

6) ბუნების კარი—ი. გოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) პატარა ბიბლიოთეკა—იმისივე — — — — — — 10 —

8) ლოცვანი, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან— — — — 20 —

9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა)— — — — — 15 —

10 თამარ ბატონიშვილი—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) არანკა, პოემა გ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) სამზარეულო, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13) ყარამანიანი—პირველი ექვსი წიგნი— — — 30 კ. და 40 კაპ.

14) რძალი, მული და მაზლიკები—ომ. თუთაევის — — — 30 —

15) ქართული კალენდრები 15—

16) სახარება — — — 25—

17) „ბუტიაობა“ ვოდევილი აკაკისა — — — — — 20 —

18) „ვაი ჭკუისაგან“ კომედია გრიბოედოვისა, ნათარგმნი გ. წინამძღვაროვისაგან — — — — 40 —

19) სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი — — — — 30 —

20) მგოსანი—ლექსები— 20 —

21) ანუკა ბატონიშვილი 20 —

აქვე იყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები, რუსულს ენაზე, არტები, ატლასები, კალენდრები, რვეულები, კარანდაშები, მელანი, ქაღალდი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.

სასოფლო შკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ.

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში პლუგის ქვეშ..

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი. . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი. . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური. . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ერთი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . . | | |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს, | — | 0 |
| პეტერბურღს, ვარშავს . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში . . | 2 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | — |
| ინგლისში. . . . . . . . . . | 3 | 50 |
| ფოჩტა | 3 | 75 |

ა) თფილისიდამ: სამძღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პ რასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამძღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . | 3 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი 18 ივნისს. | — | — |
| ფქვ. თეთ. განჯისა ფუთ. | 2 | 20 |
| ფქვ. წითელი . . | 1 | 70 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 20 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი. | 8 | 20 |
| —ამერიკისა, ფუთი . | 9 | 30 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | 70 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 8 | 20 |
| —თარაქამისა ფუთი . | 4 | 30 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი ფუთი . . . | 6 | 30 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 60 |
| სტეარ ნის სანთელი ფ. | 12 | 40 |
| ხორცი ძროხისა .ლიტრა | — | 72 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | 90 |
| სპირტი ვედრო . . . | 4 | 50 |
| შაქარი გროც. ფუთ . | 7 | 15 |
| —ფხვნილი ფუთი . | 5 | 75 |
| ყავა რგვალი გ რვ. . | — | 65 |
| ხეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 11 | 80 |
| თამბაქო საშუალო ფთ. | 6 | 30 |

## თფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-დინ

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და გარალევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—სნებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი—შინაგ., ა. ბახუტოვი—სნებიო, ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი თვალისა.

Дозволено цензурою: Тифлисъ 19 Іюня 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს მელიქიშვილი· რედ. ს. მესხი.